საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 14-1 17/03/2020

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიების განსაზღვრის შესახებ

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის №2-107 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს თბილისის საქალაქო სამსახურის და რეგიონული სამმართველოების უფროსებს, მათი სამოქმედო ტერიტორიების ფარგლებში საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის (მათ შორის, რესტორნების, კაფეების, ბარების, სასადილოების, სარიტუალო დარბაზებისთვის და სხვა) უზრუნველყონ შემდეგი რეკომენდაციების გაცემა:

   ა) შეიზღუდოს საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის (მათ შორის, კაფეების, რესტორნების, ბარების, სწრაფი კვების ობიექტის, სასადილოების,

სარიტუალო დარბაზებისთვის და სხვა) მომსახურეობის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლების უშუალო მომსახურებასთან და გააგრძელონ ოპერირება მხოლოდ ე.წ მიწოდების სერვისების გზით;

ბ) შეიზღუდოს სასტუმროს პროფილთან თავსებადი საქმიანობების, კერძოდ, სასტუმროში არსებული კვების ობიექტების ფუნქციონირება;

გ) მისაწოდებლად განკუთვნილი სურსათის მომზადებისას მკაცრად იქნეს დაცული შემდეგი პირობები:

გ.ა) სურსათის გაციების, გაყინვის და თერმული დამუშავების დროს მკაცრად იქნეს დაცული ტემპერატურული რეჟიმები;

გ.ბ) პერსონალის მიერ გამოყენებული იქნეს ერთჯერადი პირბადე, თავსაბურავი და ხელთათმანი; ხელების დაბანა მოხდეს ხშირად, თხევადი საპნით და წყლით; ერთჯერადი ხელსახოცით ხელის გამშრალების შემდეგ მოხდეს ხელების დეზინფექცია 70% სპირტის შემცველი ხსნარით ან ანალოგიური ეფექტის მქონე სხვა სადეზინფექციო ხსნარით;

გ.დ) ყველა იმ ზედაპირის და ინვენტარის, რომელსაც შეხება აქვს სურსათთან, რეცხვა-დეზინფექცია მოხდეს გაზრდილი სიხშირით და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

გ.ე) სამუშაოს დაწყების წინ გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ხველა, სუნთქვის უკმარისობა, ტემპერატურა);

დ) მომხმარებლისთვის სურსათის მიწოდებისას დაცული იქნას შემდეგი პირობები:

დ.ა) პერსონალი, რომელიც მონაწილეობას იღებს სურსათის მიწოდებაში, აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი პირბადით და ხელთათმანით;

დ.ბ) სურსათი მოთავსებული უნდა იყოს ერთჯერად ტარაში, ხოლო მრავალჯერადად გამოსაყენებელი კონტეინერების რეცხვა-დეზინფიცირება უნდა მოხდეს ყოველი გამოყენების შემდეგ, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

დ.გ) სურსათის ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს სურსათის ტემპერატურული რეჟიმი.

2. ბრძანების შესრულებას გავაკონტროლებ პირადად.
3. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი